



შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

შპს "ბათუმის სამედიცინო აკადემია"-ს მიზანია დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფი ყველა დასაქმებული და სხვა პირი, უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, დაიცვას ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები ყველა სამუშაო ოპერაციის დროს და თავიდან აიცილოს ინციდენტები. შესაბამისად, დაწესებულება ზრუნავს სამუშაო სივრცეში მყოფ ყველა პირის უსაფრთხოებაზე.

შპს "ბათუმის სამედიცინო აკადემია" დადგენილი პერიოდულობით შეისწავლის და აფასებს საწარმოო გარემოს ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამუშაო სივრცეში მყოფი ადამიანების ჯანმრთელობაზე და ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, რომელიც ორიენტირებულია შრომის უსაფრთხოების მაღალი კულტურის შენარჩუნებაზე და განვითარებაზე.

შპს "ბათუმის სამედიცინო აკადემია" ახორციელებს სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებას და მათგან მომდინარე რისკების მართვის მიზნით, გეგმავს და ნერგავს მაკორექტირებელ ღონისძიებებს და პერიოდული სწავლებების მეშვეობით დასაქმებულებს აწვდის ინფორმაციას სამუშაო სივრცეში არსებული რისკებისა და მათ საკონტროლოდ დანერგილი ზომების შესახებ.

შპს "ბათუმის სამედიცინო აკადემია" სისტემატურად მიმოიხილავს შრომის უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობას და მზადაა უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტური რეაგირება ნებისმიერი სახის შეუსაბამობაზე და ინციდენტზე.

ყველა დასაქმებულს შეაქვს საკუთარი წვლილი შრომის უსაფრთხოების სისტემის ეფექტურობაში და გამართულად ფუნქციონირებაში.

დაწესებულების სამუშაო სივრცეში მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაემორჩილოს დაწესებულებაში დანერგილ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტებს.